



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 89

2014 წლის 05 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო - და ვინჩი“ გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 1 ოქტომბრის N84 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 1 ოქტომბრის N84 ბრძანებით დამტკიცებულ; „ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ პირობებში (დანართ N1-ში) და პირობების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8<sup>1</sup> პუნქტი:  
*„8<sup>1</sup>. კონკურსის ეტაპებით გათვალისწინებული გამოფენების ორგანიზებასა და გამარჯვებული პროექტების ავტორების ინტელის საერთაშორისო სამეცნიერო-საინჟინრო გამოფენაში - Intel ISEF მონაწილეობაზე პასუხისმგებელ პირს, ფონდის მხრიდან, წარმოადგენს ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე - თინათინ ბოჭორიშვილი“.*
- დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, თამარ ბოკუჩავას, წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge).
- ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

----------/მადონა გვიდიანი/

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი: ----------/ეკატერინე ბუთლიაშვილი/

4. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

მარინე ჩიტაშვილი

